სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● №10 (4531) ● 25 მაისი ● 2016 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი ●

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა – გილოცავთ!

ნომრის სტუმარია ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა

ტრიუმფი ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენციაზე

ძველ საბერძნეთში ცნობილი იყო ზღაპრული აკადემოს ბაღი, სადაც სასწავლო პროცესი მის წიაღში მიმდინარეობდა. ამ სკოლას აკადემია ერქვა. დაახლოებით ამის მსგავსი უმაღლესი სკოლა საქართველოშიც გვაქვს. კერძოდ, **თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის 18-ში მდებარეობს იგი.** ცადატყორცნილ ნაძვნართა კორომებში, ბაღნარსა და ნაირ-ნაირ ნარგავებშია ჩაძირული. მეცადინეობით დაღლილი შეგირდ-ოსტატები ხშირად სტუმრობენ ამ ბაღნარს, სუფთა ჰაერზე სულის მოსათქმელად, „ფიქრთგასართველად“. ახლა შიგნით ვეწვიოთ სკოლას. მოიხიბლებით ინფრასტრუქტურით. ისეთ მოწიწებას იგრძნობთ, უნებლიედ ქუდს მოიხდით. ასეთ კერძო სკოლას თბილისში მეორეს ვერ ნახავთ. ასეთ მიღწევებს და გამარჯვებებს სხვა ვერავინ დაიკვეხნის. ჯერ სულ თორმეტი წლისაა ცოდნის ეს მზეჭაბუკი, მაგრამ ისე ამაღლებულა სწავლების ხარისხი, რომ ამერიკულ-ევროპულ სტანდარტებს თამამად თვალს უსწორებს. ხუთი წლის წინათ ვიყავით აქ, შარშანაც გავაშუქეთ მისი მიღწევები. წელს კიდევ უფრო დამშვენებულა, უფრო მაღალ საფეხურზე ასულან.

სკოლა მდებარეობს 1 ჰექტარ ულამაზეს წინვოვან ტყე-პარკში, სადაც მოწყობილია ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნები, ჩოგბურთის კორტები. ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკით, სამედიცინო კაბინეტით, კვების ბლოკით, თეატრალური და საკონფერენციო დარბაზებით. სკოლის 105 მასწავლებლიდან ყველა სერთიფიცირებულია. მასწავლებელთა გუნდი მომავალ თაობას აძლევს ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებულ მსოფლიო სტანდარტების შესაბამის განათლებას. ამჟამად სკოლაში სწავლობს 840 მოსწავლე. ერთი სიტყვით, სკოლას მძლავრი სასწავლო-მატერიალური ბაზა აქვს.

სკოლის დირექტორია ფიზიკა--მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბატონი **მამუკა მესხიშვილი**. იგი აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა. 2013 წელს გამოქვეყნდა მისი წიგნი სახელწოდებით **„სამსაუკუნოვანი პრობლემა“**. სკოლის უფროსკლასელები სწორედ მისი ხელმძღვანელობით მუშაობენ საკონფერენციო თემებზე, რომლებიც საერთაშორისო ასპარეზზე ყოველთვის დიდ მოწონებას იმსახურებს.

გამოსაშვები თუ საატესტატო გამოცდების შედეგებით, კონფერენციებსა თუ ოლიმპიადებზე მიღწეული წარმატებებით სკოლა მუდმივად ლიდერია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. აქაური მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებში. სკოლა არის **„ICYS“**-ის და **„INTEL ISEF“**-ის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. ამჯერად ერთ-ერთ საუკეთესო მიღწევებზე მოგახსენებთ.

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა წელს წარმატებით იასპარეზა ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც რუმინეთის ქალაქ კლუჟ-ნაპოკაში 16-23 აპრილს ჩატარდა.

ქართულ ნაკრებს ქართულ-ამერიკული სკოლის დირექტორი **ირმა მესხიშვილი** და ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის დირექტორი **მამუკა მესხიშვილი** ხელმძღვანელობდნენ.

ქართველმა მოსწავლეებმა საპროექტო ნამუშევრები მათემატიკის, ფიზიკის და სიცოცხლის მეცნიერებების სექციებში წარადგინეს.

▶▶ *გაგრძელება მე — 2 გვ.*

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

▶▶ პირველი გვერდიდან

წელს საქართველოს ნაკრები ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის 8 და ქართულ-ამერიკული სკოლის 4 მოსწავლით იყო დაკომპლექტებული.

საერთო ჯამში, მათემატიკის სექციაში ქართველმა მოსწავლეებმა აიღეს ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები, რამაც საქართველოს ნაკრები აღნიშნულ სექციაში პირველ ადგილზე გაიყვანა.

კონფერენციაში სულ მონაწილეობდა 300-მდე მოსწავლე მსოფლიოს 31 ქვეყნიდან.

რუმინეთის კონფერენცია რიგით 23-ე იყო, შემდეგი „**ICYS**“ კონფერენცია გაიმართება გერმანიის ქალაქ შტუტგარდში და დარწმუნებული ვართ, ამ სკოლის მოსწავლეები აქაც გაიმარჯვებენ, თავიანთ პედაგოგებს და მთლიანად საქართველოს ასახელებენ.

ისევ რუმინეთს დავუბრუნდეთ. საუკეთესოდ იყო ორგანიზებული კონფერენციის კულტურული პროგრამა, მოსწავლეებმა დაათვალიერეს ტრანსილვანიის ღირსშესანიშნაობები.

მოსწავლეთა ნაშრომები გამოიცა წიგნის სახით, რომელიც გადაეცა თითოეულ მონაწილეს.

ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლაში წელიწადში ორჯერ იმართება ინგლისური ენისაჩდა მათემატიკის ოლიმპიადები „**MATH**“. ექვსი საუკეთესო მოსწავლე ყოველ კლასში ჯილდოვდება სასწავლო გრანტით.

სკოლაში ნაყოფიერად ფუნქციონირებს საშაბათო სკოლები. მოსწავლეები ინგლისურ ენასა და მათემატიკაში მეცადინეობენ დამატებითი გაძლიერებული პროგრამით.

ქართულ-ამერიკული სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა კემბრიჯის საერთაშორისო დონის სასერთიფიკაციო გამოცდებისათვის მომზადებასა და გამოცდების ჩაბარებას. წლის ბოლოს მოსწავლეები იღებენ ენის ცოდნის დამადასტურებელ სერთიფიკატებს.

ამ უმაღლეს სკოლაში პრიორიტეტულია **ინგლისური ენისა** და **მათემატიკის** გაძლიერებული, საფუძვლიანი სწავლება. (იხ. ვებ-გვერდი: **www.gahs.edu.ge**)

ამ სკოლის მისია განსაკუთრებულია, უპირველესი მიზანია, აღზარდოს წიგნიერი და კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედებითი და მიზანდასახული პიროვნება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას და საქართველოს ინტეგრაციას მსოფლიოში.

ამ უზენაეს მიზანს სკოლის ხელმძღვანელობა, ყველა მასწავლებელი მუდამ პირნათლად ასრულებდა და შეასრულებს კიდევაც მომავალში.

ბევრი, ძალიან ბევრი შეიძლება ითქვას და დაიწეროს ცოდნის ამ შესანიშნავი ტაძრის მიღწევებზე, მაგრამ ამჯერად ჩვენ რამდენიმე კონკრეტულ მაგალითზე გავამახვილეთ ყურადღება. ამითაც, ამ მცირედითაც ნათელია, რა სიმაღლეებს მიაღწია სკოლამ. მალე უფრო გაბრწყინდება, უფრო მაღალ თამასას გადაევლება.

ბორის მიშველაძე,
დამსახურებული პედაგოგი,
სალომე ტეფნაძე,
სკოლის ადმინისტრაციული მენეჯერი.

1 ივნისი ბავშვთა საერთაშორისო დღეა!

ბავშ-ბალის ძმაკაცები

მე რა მქვია? – ნიკოლოზი,
შემოკლებით – ნიკო.
შენ რა გქვია? – მიხეილი,
შემოკლებით – მიხო.
მას რა ჰქვია? – მას დავითი,
შემოკლებით – დათო.
რეზო, ვანო, ტარიელი
მუდამ ერთად ვართო.
შენ – მალხაზი? კი ბატონო,
შემოკლებით – მახო.
ვახტანგი ვარ, ვახო მქვია
დამიჯერეთ ხალხო!
გია, გაგა, გოგა, გუგა,
მიხო, მახო, ვახო,
ძმაკაცობის სიმღერები
ერთად შემოვძახოთ!

უკვირს თინას

ზოოპარკში თინა დადის პაწაწინა,
მას უამბობს გელა, რად დასაჯეს მელა;
ბატი, იხვი თურმე გადასანსლა ყველა.
მიაყოლეს წყევლა და იქ თავი უკრეს –
გალიაში მგელი, ისიც საძაგელი
ბატკნის სისხლის მსმელი – შიგ ბრძანდება უკვე.
კიდევ ბევრი მხეცი – ავყია და ბეცი
დაისაჯა ხელად – ღირსეულად ყველა.
მაგრამ აგერ ერთი – ეს კურდღელი თეთრი
რას აშავებს ნეტავ – ვიღამ გამოკეტა?
ან ვინ გაიმეტა?
ესღა უკვირს თინას,
თინას პაწაწინას.

ბორის კინდღელი



ყურადღება! განათლების სისტემის ყველა მუშაკს!

მეჯად საჭირო წიგნი

გამოვიდა თბილისის საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების **საინფორმაციო-სატელეფონო ცნობარი.**

იგი შეიცავს: საჯარო და კერძო სკოლების, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების, სახელოვნებო და სპორტული დაწესებულებების, საბავშვო ბაღების, მათ ხელმძღვანელთა საკონტაქტო მონაცემებს. ასევე: ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრების, კინოთეატრების, გადაუდებელი საჭიროების სამსახურებთან დასაკავშირებელ მონაცემებს.

ცნობარი უთუოდ შეგიწყობთ ხელს როგორც სამსახურებრივი საქმიანობის, ასევე პირადი საჭიროება-ინტერესების დაკმაყოფილების საქმეში.

დაგვიკავშირდით: 2 34 41 41, 599 34 41 41
ელ-ფოსტა: moseshvilir@gmail.com

რომან მოსეშვილი

ინოვაციას – ფართო გასაქანი!

საერთაშორისო პროექტი და ინტერნეტით თანამშრომლობა

ბოლო დროს, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში აქტიურად ინერგება სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები. ამ მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლებისა და მასწავლებლების აქტიურობას, ასევე, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას. თუ რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს სკოლებში ტექნოლოგიების სწავლება, ეს პედაგოგებზეა დამოკიდებული. ამ მხრივ კი, შესანიშნავი მდგომარეობაა თბილისის 207-ე საჯარო სკოლაში, სადაც ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სასწავლო პრიორიტეტად არის მიჩნეული. აქ მიზანმიმართულად იყენებენ ელექტრონულ რესურსს, კომპიუტერულ პროგრამებს და ეფექტურად ნერგავენ სასწაავლო პროცესში.

ახლახან, 207-ე სკოლაში ინტერნეტ პორტალის **„eTwinning.net“** (ითვინინგი) პრეზენტაცია და კონფერენცია გაიმართა. მოსწავლეებმა ერთი წლის მუშაობის შედეგები შეაჯამეს. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ პედაგოგები: **ქეთევან კობახიძე, მარინე ფირანიშვილი** და **მანანა გადელია.** პრეზენტაციას ესწრებოდნენ 207-ე სკოლის დირექტორი **ზურაბ ჩხაიძე**, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი და ითვინინგ-ის კოორდინატორი **ხატია მატკავა** და პედაგოგები.

პრეზენტაციაზე მოსწავლეებმა წარმოადგინეს განხორციელებული პროექტების მოკლე მიმოხილვა. საინტერესო მოხსენებით გამოვიდნენ წარჩინებული მოსწავლეები: **მარიამ დანელია, ნიკოლოზ პაპიძე** (მე-8 კლასი), **ნინო სარიშვილი** (მე-11 კლასი), **მარიამ ჯიბლაძე, ნოდარ ჯანაშვილი** და **ილია ჟუჟუნაშვილი** (მე-6). დიდ ეკრანზე ნაჩვენები იყო ვიდეო-რგოლი, **„eTwinning in my school“**, რომლიც კონკურსისთვის მოამზადა მე-11 კლასის მოსწავლემ **ოლეგ ბაბინმა.**

ცნობისათვის „eTwinning.net“ ანუ ითვინინგი – არის ევროპის სკოლების გაერთიანების საერთაშორისო პროექტი, სადაც ევროკავშირის ქვეყნებთან ერთად, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდავეთი, უკრაინა და სხვები მონაწილეობენ. თითოეულ ქვეყანას გააჩნია თავიანთი ეროვნული მხარდაჭერის სამსახური. საქართველოს მხარეს წარმოადგენს მოსწავლეთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, რომლის დირექტორია **გიორგი მაჩაბელი**. იგი, ითვინინგი-ს კოორდინატორთან – **ხატია მატკავასთან** ერთად, დიდ ყურადღებას აქცევს პროექტის მიმდინარეობას და ამ მხრივ, მასწავლებლების საქმიანობას.

ზურაბ ჩხაიძე: ჩვენი სკოლა, ითვინინგის პროგრამაში ჩართულია 2013 წლიდან და უცხოელ მასწავლებლებთან ერთად, სხვადასხვა პროექტებს ახორციელებს. პროექტი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ იგი ხელს უწყობს ქართველი და უცხოელი მასწავლებლების და მოსწავლეების დაახლოებას, მათ ინტეგრაციას; ასევე, ინტერნეტ სივრცეში ინფორმაციის გაცვლას და თანამშრომლობას. ქართველი მოსწავლეები ჩართულები არიან სხვადასხვა აქტივობებში, სწავლობენ უფრო მეტს პარტნიორი სკოლების ქვეყნებზე, მათ ტრადიციებზე, კულტურაზე. გვაქვს ონლაინ ჩართვები და ერთობლივი ფეისბუქის ჯგუფები, სადაც ჩვენი მოსწავლეები ესაუბრებიან უცხოელ თანატოლებს.

ითვინინგის პროექტში აქტიურად მონაწილეობენ პედაგოგები: **ქეთევან კობახიძე, მარინე ფირანიშვილი, მანანა გადელია, ნუნუ წურწუმია, მარი გვასალია, ლუბა სულხანიშვილი, ირმა აზმაიფარაშვილი, მარეხ როსტიაშვილი, ნინო ნიქაბაძე, ნინო გოგოლაშვილი, თამარ კალაიჩიშვილი, ასმათ კოროშინაძე, ია გულიაშვილი, ლია ჯანიაშვილი, ნათელა ძნელაძე, მარინე კასრაძე, მაია კიკაჩეიშვილი, ლალი ხუროძე, მაია ჟიჟილაშვილი, თამარ ჩხეიძე, დეა გოგოლაძე, ანა აფციაური** და **ნინო ჯანგველაძე.**

ქეთევან კობახიძე – ინგლისური ენის პედაგოგი: პროექტი, მართლაც აახლოებს ქართველ და უცხოელ მოსწავლეებს და მათ უვითარებს ტოლერანტობის უნარს. შარშან, ჩემი და პოლონელი მასწავლებლის ერთობლივმა პროექტმა: **„Through Histoty to Present Day‘“** მოიპოვა ევროპული ხარისხის ნიშანი. აღნიშნული პროექტი ეხებოდა გმირ ქართველ მეომრებს პოლონეთში: **ვალერიან თევზაძეს, მამა გაბრიელ ფერაძეს** და სხვებს. ბრიუსელში ყოველწლიურად ტარდება ითვინინგის საიუბილეო კონფერენცია, სადაც 2015 წლის ოქტომბერში, საქართველოდან წარგზავნილ ერთ-ერთ გურჯაანელ მასწავლებელთან **დიმიტრი პოპოვთან** ერთად, გახლდით მიწვეული.

საგულისხმოა, რომ 207-ე სკოლა, უკვე მეორე წელიწადია, რაც ითვინინგის კვირეულს აწყობს. შარშან, აღნიშნული პროექტის 10 წლის იუბილე აღინიშნა, ხოლო, წლეულს სხვადასხვა ღონისძიებები ჩატარდა. გაიმართა კონფერენცია და პროექტის პრეზენტაცია; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული ნამუშევრების, ბანერის და ნახატების გამოფენა. ნაყოფიერი საქმიანობისთვის, პროექტში მონაწილე მოსწავლეები და მასწავლებლები დაჯილდოვდნენ საერთაშორისო დიპლომით

„eTwinning“-ის ინტერნეტ პორტალი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მოსწავლეებს უვითარდებათ ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან მუშაობის უნარ-ჩვევები. ასეთი სახის ვირტუალური ურთიერთობები კი, მოსწავლეებს ეხმარებათ გაეცნონ და დაუახლოვდნენ უცხოელ თანატოლებს და თავი იგრძნონ მსოფლიოს ნაწილად.

ასეთი მუშაობით წარმატება გარანტირებულია.

მზია გოგოძე

გაიცანით თბილისის 106-ე საჯარო სკოლა!

„საქმეშან შენშან გამოგაჩინოს“, ანუ

დიდი ხანია საზოგადოებაში ბატონობს აზრი, თითქოს დედაქალაქის ცენტრის სკოლები გაცილებით უფრო პრესტიჟულია, ვიდრე გარეუბნისა და არის ერთი სწრაფვა, იქ შეიყვანონ თავიანთი შვილები. მოდით, გაიცანით გარეუბნის 106-ე საჯარო სკოლა და დარწმუნდებით, რომ საქმე მთლად ასე არ არის.

ამ აზრის დასტურ-არგუმენტად ერთი ფაქტიც კი ღაღადებს: 14 აპრილს დედაენის ზეიმზე მოსული სტუმრები არა მარტო ღონისძიებით **„ო, ენავ ჩემო!“** მოიხიბლნენ, არამედ – წელიწადნახევარში ამ სკოლის აღმავლობის მასშტაბებითაც. ეს სტუმრები კი იყვნენ: დედაქალაქის მერიის საკრებულოს წევრი **გულიკო ზუმბაძე**, მაჟორიტარი დეპუტატი **ლია ჯახველიძე**, სამგორის რაიონის გამგებლის მოადგილე **ავთანდილ დიასამიძე**, ნაჟორიტარი დეპუტატი **ია მაკასარაშვილი**, რესურსცენტრის უფროსი **მეგი როსტიაშვილი**, გამგეობის წარმომადგენელი **მერი აფციაური**, რაიონის პროფკომის თავმჯდომარე **გულიკო ამილიძე**, 81-ე, 83-ე, 103-ე, 107-ე, 124-ე, 215-ე, 70-ე, 92-ე სკოლის დირექტორები: **მაგდა ბარამიძე, ნინელი ადამაშვილი, არჩილ ჩხაიძე, გიორგი ერაძე, მადონა მუმლაძე, ალექსანდრე კეჩხოშვილი, ვალერიან გიორგაძე, მიხეილ ჩიქოვანი**. ისინი დაგვიდასტურებენ, რომ 106-ე სკოლა დღეს არაფრით ჩამოუვარდება ზოგიერთ იმ „პრესტიჟულთ“.

დიახ, წელიწადნახევარში ამ სკოლის საოცარი მეტამორფოზის მოწმეები გავხდით. გამობრძმედილმა, შემოქმედმა დირექტორმა **თენგიზ გულორდავამ** თანამებრძოლ პედაგოგებთან მხარდამხარ ხელებდაკაპიწებული შრომით ახალ სიმაღლეებს გვაზიარეს. მანამდე ბატონმა თენგიზმა თავის მშობლიურ მე-5 საჯარო სკოლაში იღვაწა მეტად ნაყოფიერად, შემდეგ განადგურების პირას მისული გლდანულის 59-ე სკოლა „ფენიქსებრ“ ააღორძინა, **„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა, თვალში ურევს მწარე ნაღველს, მტრისას მისი გამოცანა!“** „ფილაფოზი“ ნოდიას მინისტრობის დროს...

სჯობს თავად თენგიზს მოვუსმინოთ: „2008 წელს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მოულოდნელად გამათავისუფლეს. ხუთი წელი ამაოდ ვეძებდი სამართალს. განათლებისა და მეცნიერების ახალ მინისტრს **თამარ სანიკიძეს** მივმართე განცხადებით, რასაც იგი გულისხმიერად მოეკიდა. სამართალმა პური ჭამა და 106-ე სკოლის დირექტორად დამნიშნა. თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა უდიდესი მადლობა გადავუხადო მინისტრს – **თამარ სანიკიძეს** იმისთვის, რომ გულთან მიიტანა ჩემი სატკივარი, აღმიდგინა ღირსება და დამაბრუნა ჩემს უსაყვარლეს საქმესთან. მადლობა ჩემს პედკოლექტივს, რომელიც მენდო და მხარში დამიდგა. სკოლის ბიუჯეტით და განათლების ინფრასტრუქტურის სააგენტოს დახმარებით, ბევრ რამეს მოვაღწიეთ. წელს იგეგმება სკოლის სრული რეაბილიტაცია. ვამაყობ ჩვენი ძლიერი პედაგოგიური გუნდით. ყველაფერს ვიღონებთ, რომ ხელიხელჩაკიდებული შრომით სკოლას დავუბრუნოთ ძველი დიდება და ღირსება“.

საოცარი პიროვნება გახლავთ ახალი დირექტორი, დაჯილდოებულია სიახლის დიდი გრძნობით, ორიგინალური გამომგონებლური ნიჭით და გადაწყვეტილების რეალიზების უნარით. სწორედ ამაზე გვექნება ქვემოთ ვრცლად საუბარი. ორიგინალობაში მეც მინდა მივბაძო ბატონ თენგიზს და სტატია-ნარკვევი სკოლის თანამშრომელთა მონაწილეობით ავაგო.

●●●

ნაზი სეთურიძე (დირექტორის მოადგილე): ბატონ **თენგიზ გულორდავას** 35 წლის პედაგოგიური მოღვაწეობის სტაჟი ამშვენებს. იგი ჩვენი სამეურვეო საბჭოს მიერ ერთხმად არჩეული დირექტორია. მოსვლის დღიდან ენერგიულად შეუდგა საქმეს. მთელი პედკოლექტივი მხარში ამოვუდექით. შეიქმნა სკოლის განვითარების გეგმა.

სკოლას აქვს ორი კორპუსი, პირველი – საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის, მეორე კი – დაწყებითი კლასებისათვის. დაწყებითი კლასების სიმრავლე სკოლისათვის ხერხემალია და მწირი ბიუჯეტით კაპიტალურად გავარემონტეთ დაწყებითების კორპუსი. შარშან, სამი პირველი კლასი გაიხსნა, ახალი სასწავლო წლისთვის 8 კლასის გახსნა არის დაგეგმილი.

დირექტორის ძალისხმევით ზაფხულში კეთილმოეწყო სკოლის ეზო, მწვანე ნარგავებითა თუ აუზში მოცურავე გედებით, რომლის სილამაზით უბნის მოსახლეობაც ტკბება. ჩვენთან ხშირად სტუმრობენ მეზობელი, მე-16 ბაგა-ბაღის აღმზრდელ-აღსაზრდელები.

2014 წელს, ბატონმა თენგიზმა გაიცნო ჩვენივე სკოლის ისტორიის პედაგოგის **მარინე ასლანიშვილის** ძმა, **დავით ასლანიშვილი**, რომელიც უნიჭიერესი მხატვარია. გაცნობისთანავე, მან დაწყებითი კლასების კორპუსში კედლები ოსტატურად მოხატა. დირექტორის იდეით კორპუსის კედლებს ამშვენებს ქართული ზღაპრის გმირები, იაკობის **„დედა ენის“** 33 სანთლით გაბრწყინებული ანბანი. სულ ახლახან კიდევ ერთი ულამაზესი მონუმენტური პანო – **„ძლევაი საკვირველისას“** მიხედვით დავით აღმაშენებლის პანო შეემატა ამ კორპუსს. იგი 14 აპრილს, **„დედაენის“** დღესთან დაკავშირებით გაიხსნა. დიახ, ამ ფანტასტიური სილამაზის ავტორია, ჯადოქარი მხატვარი **დავით ასლანიშ**ვილი.

სკოლას ჰყავს ძლიერი პედკოლექტივი, რომლის ხელმძღვანელია, ისტორიის პედაგოგი **ნანი ჭანტურ**ია. დირექცია მაღალ შეფასებებს აძლევს, თავის პედაგოგებს: **ნინო ხაჩიძეს, ლია ზურაბიშვილს, თეო ჯავახიშვილს, ასმათ გურულის, თამარ ღამბაშიძის, მზია ბუღაძის, მარეხი მაჭარაშვილის, მზია ცხადაძის, ნანა ტაბატაძის, დარეჯან კონტრიძის, ლალი ადამაშვილის, მზევინარ ოქრუაშვილის, ლელა გოგოლაძის, ნანული მელაძის, ნელი ჩოჩიშვილის, ნანი ჭანტურიას, ლელა ნაყოფიას, მარინა ასლანიშვილის, ცირა ბახტაძე-ბეგლარაშვილის, დარეჯან წულაიას, ჟუჟუნა ხურციძის, თამარ შუბაშვილის, ნარგიზი ფერაძის, მარინე ქურციკიძის, მანანა ბაბუნაშვილის, ავთანდილ დარახველიძის, მარინა კუპატაძის, დოდო გურგენიშვილის, მარიკა სანიკიძის, ლელა გვაზავას, შორენა იმედაიშვილის, რიტა ყიფშიძის, ლია გასიტაშვილის, ფატი სამნიაშვილის, ხათუნა გასიტაშვილის**. ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის: **ვიტალი აბესაძის, ნინო ჯავახიშვილის, ნინო დათუნაშვილის, ნინელი ტაბატაძის, მაია ნესუაშვილის, ნანა ნაყოფიას, მანანა გამცემლიძის, ზეინაბ გასიტაშვილის, თემურ გასიტაშვილის, კონსტანტინე სარქისოვის, ფეოპისტი ბექაურის** და **ნუგზარ ღამბაშიძის** შრომას.

2015 წლის სექტემბრიდან, სკოლის დაწყებითი კლასის (I-VI კლასები) პედაგოგები აქტიურად არიან ჩართულნი საქართველოს დაწყებითი განათლების – **USAID/G-PriED**-ის პროექტში.

პროექტის წარმომადგენლები **ვარდო ვეკუა** და **ნატო გაბოშვილი** გვესტუმრნენ და დახმარება გაგვიწიეს.

სკოლის სამეურვეო საბჭო, თავმჯდომარე – გეოგრაფიის პედაგოგი **ცირა ბახტაძე-ბეგლარაშვილი,** წევრები, პედაგოგები: **ფატი სამნიაშვილი**, **ნანა ტაბატაძე**, **ჟუჟუნა ხურციძე** და **ლელა ნაყოფია**, წევრი მშობლები: **ირმა ვახანია** და **ია ლორია** აქტიურად არიან ჩართულნი სკოლის ცხოვრებაში. შარშან დაწყებით საფეხურზე სკოლამ შემოიღო მოსწავლის ფორმა.

მოსწავლეთა თვითმმართველობას, თავმჯდომარე – **ლუკა იმერლიშვილი**, მდივანი **გვანცა კაპანაძე**, წევრებს: **გიორგი ბერელიძეს**, **გიორგი მაჭავარიანს**, **ნინო იმნაძეს**, **ლალი გველუკაშვილს**, **მარიამ პაპავას** და **მარიამ გამყრელიძეს**, ხალისი და სიცოცხლე შეაქვთ სკოლის ცხოვრებაში. ჩაატარეს **„ერთი კანფეტის“** საქველმოქმედო აქცია და შეგროვდა თანხა ჩვენივე სკოლის სო-

ᲒᲐᲘᲪᲐᲜᲘᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ 106-Ე ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ!

ᲗᲕᲐᲚᲘ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲝᲕᲜᲘᲡᲙᲔᲜ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲗ

ციალურად დაუცველი 15 ოჯახისათვის, ასევე ერთ-ერთ სკოლა პანსიონის აღსაზრდელებისათვის – სურსათი და ტკბილეული, რომელიც გადაეცათ საახალწლოდ. 21 მაისს მონაწილეობას მიიღებენ ლეიკემიით დაავადებულთა დასახმარებელ საქველმოქმედო აქციაში.

მასწავლებლები: **ნინო ხაჩიძე, ლია ზურაბიშვილი, თეო ჯავახიშვილი, ასმათ გურული, მზია ბუღაძე, თამარ ღამბაშიძე, ფატი სამნიაშვილი, ლელა გვაზავა, ხათუნა გასიტაშვილი, ლია გასიტაშვილი, შორენა იმედაიშვილი, რიტა ყიფშიძე**, აქტიურად არიან ჩართულნი და მათი მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ **„კინგსისა“** და **„ევერესტის“** ოლიმპიადებში. ფინალში გავიდნენ მოსწავლეები: **ნუნუ ნოზაძე, ეკატერინე ნოზაძე, ნინო გოგოლაძე, ნინო პაპოვი, ეთერ ჩიტაია, მარიამ თაყნიაშვილი, საბა მხატვრიშვილი, ანა-მარია ჯოხაძე, საბა ჩიტაძე, ლალი ბალახაშვილი, მარიამ ცუხიშვილი, ლუკა გაბლიშვილი, ნანა კვირკველია, ანა კვირკველია, საბა ბარამიძე, მარიამ პაპავა, გიორგი ნაცვლიშვილი, გიორგი ცუცქირიძე, მიხეილ დადიანი, ნიკოლოზ ბაქრაძე, საბა გაბოშვილი, მარიამ გორდულაძე, ნიკა კვირკველია, ფირუზი კოკოზაშვილი, ელიზაბეტ ლუტიძე, ლიზი მხატრიშვილი, ბადრი როხვაძე, ანანო სალაძე, მარიამ ჩოფლიანი, დავით ჭანიაშვილი, რამაზ რაზმაძე, გიორგი ბერიაშვილი, დავით გაბუნია, ავთანდილ ლეკიშვილი, ნუცა პაპუნაშვილი, ქეთევან ჯიბღაშვილი, დავით მაღრაძე, ლელა ექიზაშვილი, შოთა დევნოზაშვილი, ანა ხახანაშვილი, ლუკა ნაცვლიშვილი, მარიამ სოხაძე, ანი მეტრეველი, ლილე ჭიღლაძე, ზაზა კურტანიძე, ელენე კერვალიშვილი, თათია კვირკველია, ნია ყაულაშვილი, ანამარია სავანელი, ნიკოლოზ წურწუმია, ნიკოლოზ ჩიმჩიური, ცოტნე იორდანიშვილი, მარიამ ზასეშვილი, სოფო ქოქაშვილი** (ევერესტის ვერცხლის ათეულში), **ანა ხახანაშვილი** (ევერესტის ვერცხლის ათეულში), **ნინო ჯღომიდავა, ნიცა მეტრეველი, მარიამ სირაძე, მარიამ დოლუაშვილი, ანი არველაძე, მარინა ავეტიანი, ნანა კაციაშვილი, საბა კენჭოშვილი, საბა ტალახაძე, ნიკოლოზ გორდულაძე, ილია მამაი, ბესო მეტრეველი, ლუკა ყრუაშვილი, ანასტასია ბერია, ლუკა ფორჩხიძე, ნია ფოცხიძე, მარიამ მანგოშვილი, ანდრია გაბედავა, ნინო ჯინჭარაძე, გიორგი შავიძე**. ასევე, გვყავს 2015-2016 სასწავლო წლის რესპუბლიკურ ოლიმპიადიაში რუსულ ენა-ლიტერატურაში გამარჯვებული, მეთორმეტე კლასელი **ნიკოლოზ სარაჯიშვილი**. მისი პედაგოგია **ნანა ტაბატაძე**.

პროექტი **„ჩემი პირველი კომპიუტერის“** საბაზო საფეხურის გამარჯვებულია მოსწავლე – **მარიამ ცუხიშვილი**.

სკოლის შესასვლელში სტუმარი აუცილებლად თვალს მოკრავს სიგელებსა და დიპლომებს. ის სკოლამ დაიმსახურა სხვადასხვა პროექტებში, ოლიმპიადებში გამარჯვებისათვის. მადლობის სიგელი **„უსაფრთხო სკოლა“** დირექციას გადასცა მანდატურის სამსახურმა.

შორენა იმედაიშვილი – სქემის ფასილიტატორი:

ჩვენი დირექტორი მიზანდასახული და შრომისმოყვარე პიროვნებაა. ბატონმა თენგიზმა მოსვლისთანავე გაარემონტა და კეთილმოაწყო დაწყებითი კლასების კორპუსი. მისი თაოსნობით შეიღება და მოიხატა საკლასო ოთახები და დერეფნები. მოწესრიგდა და გალამაზდა სკოლის ეზო. ჩვენი პატარები ლამაზ, კომფორტულ და ესთეტიურ გარემოში იღებენ ცოდნას, პედაგოგები ხალისით ვასრულებთ ვალდებულებებს. ახალი სასწავლო წლისათვის ძირითადი კორპუსიც გარემონტებული დაგვხვდება. სასკოლო ფორმის შემოღებამ განსაკუთრებული ხიბლი შემატა მოსწავლეებს, სკოლის იმიჯს. დირექტორი მუდმივად ზრუნავს პედაგოგების ავტორიტეტზე, მათ პროფესიულ განვითარებაზე.

ცირა ბახტაძე-ბეგლარაშვილი – სამეურვეო საბჭოს თავჯდომარე:

ჩვენ გვჯერა თქვენი ფიცის!

ნათია ბასილიას წასვლამ გული დაგვწყვიტა. ნეტავი, უკეთესი დირექტორი მოვიდესო! – ვნატრობდით, მართლაც, ბედი გვქონია დირექტორებში.

მოვიდა **თენგიზ გულორდა**ვა. ენერგიული, შრომისმოყვარე, პატიოსანი, თბილი, გულით **„დიდი ბავშვ**ი“, კარგი მენეჯერი, ერთი წლის თავზე ერთხმად ავირჩიეთ იგი დირექტორად, ე. ი. იმედები გაგვიმართლა.

იგი მუდამ ბავშვებთანაა, პედაგოგებთანაა, სკოლის ცხოვრებით ცხოვრობს და სუნთქავს.

შარშან X კლასთან ერთად ქუთაისში ვიყავით ექსკურსიაზე. მეფეთ მეფის საფლავთან მუხლზე დაჩოქილმა დაიფიცა: **„ჩემს 106-ეს წარმატებულს და გამარჯვებულს გავხდი**ო“. სიტყვის კაცი ფიცს ყოველდღიურად ასრულებს. კიდევ ბევრ სექტემბერს მოგვილოცავს ფიცის ამსრულებელი დირექტორი.

ლია ზურაბიშვილი – ქართული ენა-ლიტერატურის პედაგოგი:

ერთმა მოსწავლემ თავისუფალ თემაში – **„როგორი სკოლა მინდა მქონდეს“**, იოცნება: ჩემს სკოლაში ვისურვებ მოწესრიგებული კლასებს, ეზოს ლამაზი ბაღითა და აუზით, სკამებს დასასვენებლადო და **თენგიზ გულორდავას** მოსვლით ეს ოცნება ასრულდა.

დაწყებითი კლასების შენობაში შეიქმნა ზღაპრული სამყარო. დერეფნებში კედლები მოიხატა **დავით ასლანიშვილის** მიერ. გაცოცხლდნენ სამშობლოსათვის თავდადებული გმირები, საყვარელი ნაწარმოების პერსონაჟები, იაკობ გოგებაშვილის გადაშლილი **„დედაენა“** იწვევს პატარებს ასო-ბგერების გასაცნობად. აბიბინდა და აყვავდა სკოლის ეზო აუზითა და გედებით დამშვენებული, რამდენმა ახალმა ნერგმა გაიხარა?!.. მოეწყო დასასვენებელი ადგილი.

თენგიზ გულორდავა მენეჯერის საოცარი თვისებებით გამოირჩევა. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გუნდურ მუშაობას. სკოლა დაჯილდოებულია სიგელებითა და სერთიფიკატებით. ნაყოფიერ მუშაობას ეწევა კლუბი **„ბუხარ**ი“, რომლის ნომერიც გამოიცემა წელიწადში ორჯერ. ლიტერატურული კლუბის წევრებია: **მარიამ ცუხიშვილი, ანა კუტუბიძე, გვანცა ჩხეტიანი, მარიამ ჩიქოვანი, სალომე ხმალაძე, სალომე ხუჯაძე, ვალერიან სოზაშვილი, ვაჟა ლუტიძე, გუგა ცუხიშვილი, ნინო მესროფაშვილი, გიორგი ნაცვლიშვილი, ანასტასია სიჩევსკი.** ჟურნალ **„ქართლი“**-ს ეკოკლუბის წევრებია; **ნინო თეთვაძე, ქეთი გოგოლაძე, დაიანა ჩოფლიანი, ანი აფრიაშვილი, ანი ბერიაშვილი, ზურა სირაძე, მარი მაკასარაშვილი, გიგორგი ბერელიძე, თამარ გოგოლაძე, ანი ციციშვილი, მარიამ ცუხიშვილი, გუგა ცუხიშვილი.** დაუვიწყარია **„დედაენისადმი“** მიძღვნილი საზეიმო საღამო.

თენგიზ გულორდავა იზიარებს ყველას სიხარულსა თუ გაჭირვებას. მოსწავლე **დემურ ჩოფლიანს** დასჭირდა საზღვარგარეთ მკურნალობა, დირექტორმა ყველაფერი იღონა ბავშვის დასახმარებლად. ერთი სიტყვით, ყველას გვიყვარს დირექტორი.

მარინა კუპატაძე – „**PRIED**“-ის კითხვის მიმართულების ფასილიტატორი:

თენგიზ გულორდავა ყოველწამს სკოლისა და მოსწავლეების ხვალინდელ დღეზე ფიქრობს.

სკოლის მშვენებაა დავით აღმაშენებლის მონუმენტური პანო **„ძლევაი საკვირველი**“. რომლის იდეა ეკუთვნის ბატონ თენგიზს და შემსრულებელია **დავით ასლანიშვილი**.

კეთილმოეწყო სკოლის ეზო,შეივსო ნარგავებით და გაკეთდა დეკორატიული აუზი, ხელოვნური თევზებითა და გედებით დამშვენებული.

მომავალი სასწავლო წლიდან სკოლას 8 პირველი კლასი შეემატება. კიდევ ბევრი მქონდა სათქმელი, მაგრამ კოლეგებმა დამასწრეს და გამეორება გამომივა.

მეტად პოპულარული კაცია ბატონი თენგიზი უბანში. ხშირად გაიგონებთ: **„აი, დირექტორ**ი“, **„მგონი გვეშველ**ა“, **„გაუმართლა 106-ს**“, **„მადლობა, ბატონ თენგი**ზს“.

...და მართლაც, მადლობა ბატონო თენგიზ!

„სიტყვა მიზანში მოსახვედრია“, – წერს **ჯანსუღ ჩარკვიანი**, ზემოთქმულით სიტყვა მიზანში უკვე მოხვედრილია. სულ ახლოს გამარჯვების ვარსკვლავი ციმციმებს.

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲨᲕᲔᲚᲐᲫᲔ,
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

აი, რა ხდება გლდანის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში

აქ მუდამ შემოქმედებითი გაჯაცება და სიხარულია

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, მართლაც ღირსეულ ადგილს იკავებს. აქ მუდამ შემოქმედებითი ფუსფუსია და პედაგოგები მუხლჩაუხრელად ზრუნავენ მოსწავლეების აღზრდასა და ცოდნის ამაღლებაზე. გლდანის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, უკვე 36 წელიწადია, განათლებასა და მოაზროვნე მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება. სამწუხაროდ, შენობა არაერთხელ შეიცვალა, მაგრამ ეს ცუდად არ ასახულა სწავლის ხარისხზე. 20 წელიწადია მოსწავლეთა სახლი, 135-ე საბავშვო ბაგა--ბაღის შენობაში, მე-2 სართულზეა განთავსებული. შენობაში შესვლისთანავე იგრძნობა სისუფთავე, წესრიგი, ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია. კაბინეტები აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით.

მოსწავლეთა სახლს სათავეში უდგას ღვაწლმოსილი პიროვნება, ინგლისური ენის ჩინებული პედაგოგი **ლიანა კოპალიანი.** იგი, 36 წელია, დიდი რუდუნებით ემსახურება მასწავლებლის ამ საპატიო პროფესიას და ვინ მოთვლის, ამ ხნის მანძილზე, რამდენი თაობის აღმზრდელია.

მოსწავლეთა სახლში, ქალბატონი ლია, თავდაპირველად მეთოდისტად მუშაობდა, შემდეგ კი, ხელმძღვანელად აირჩიეს და უკვე, 30 წელია ნაყოფიერად ეწევა შემოქმედებით საქმიანობას. იგი არაერთი წამოწყებისა და ინოვაციის ავტორია.

ამჟამად, მოსწავლეთა სახლში ფუნქციონირებს სხვადასხვა დასახელების საგნობრივი და ხელოვნების წრეები. ასევე, ასწავლინ ხატვას და ლათინო-ამერიკულ ცეკვებს. სწავლის ხარისხი მაღალია და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინგლისური ენის სწავლებას. გაიცემა შესაბამისი დონის სერთიფიკატი. აქაური მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა საგნობრივ ოლიმპიადებში.

სასწავლო პროცესს კი, მაღალკვალიფიციური პედაგოგები წარმართავენ. გაგაცნობთ წრის ხელმძღვანელებს, ესენია: **თეა ნოზაძე** – ისტორიის, **ნანა ბიწაძე** – ინგლისური ენის, **რიტა რაზმაძე** - ქიმიის, **გურანდუხტ ქეცბაია** – მათემატიკისა და უნარების, **მანანა ლაბაძე** – ქართული ენისა და ლიტერატურის, **თამარ მურველაშვილი** – ბიოლოგიის, **ბელა თოდუა** – ფიზიკის, **ნათია გაჩეჩილაძე** – მათემატიკის, **ხატია ცირეკიძე** – ინგლისურის, **ნათია თინიკაშვილი** – რუსული ენის, **გულნაზ კანდელაკი** – ფსიქოლოგიის, **დალი აბრამიშვილი** – ჭადრაკის, **ხათუნა ცხვედაძე** – ქართული ხალხური სიმღერების და **იზაბელა ქავთარაძე** – გიტარის წრის ხელმძღვანელი.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა სახლში სულ 500 მოსწავლეა და აქ სოციალურად დაუცველთა სწავლება უფასოა.

როგორც ქალბატონმა ლიამ აღნიშნა: საგნობრივი წრეების ხელმძღვანელთა მუშაობის პრიორიტეტად მიიჩნევა **საატესტატო და ეროვნული გამოცდებისთვის მოსწავლეთა მომ**ზადება, რომელიც მიმდინარეობს სამუშაო გეგმის მიხედვით. აქაური მესვეურები ამაყობენ იმით, რომ მათი არაერთი კურსდამთავრებული, 100-პროცენტიანი დაფინანსებით ჩაირიცხა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს, სხვადასხვა წრეებში, არაერთი წარჩინებული მოსწავლე ჰყავს. ესენი გახლავთ: **ნინო გათენაშვილი, ქეთევან ჭინჭარაული, მარიამ ფოცხიშვილი, ნინო მელქონიანი, ანი შველიძე, ლეილა ჩოჩია, სალომე ბედუკაძე, ანა უბირია, გოგი ლობჟანიძე, მედეა სულამანიძე, ნინა ავდალიანი, ელენე ხომერიკი, ლილი სალაძე, ილია პეტროსიანი, გიორგი ავაზანელი, მარიამ კერესელიძე, ანა ალუღიშვილი, ქეთევან ნუსხელაძე, მარიამ ხოხონიშვილი, ლიზი კორძაძე, ანა ხატიაშვილი, მარიამ გოლობიანი, ქეთევან ქსოვრელი, ანი ინწკირველი, ნანა ცომაია, ზურაბ ინწკირველი, ხატია ნადირაძე, ნათია ქავთარაძე** და **სოფიო საძაგლიშვილი.**

შესანიშნავი შედეგები აქვთ ნორჩ მოჭადრაკეებს: **გიორგი მენაბდეს** და **დეა ქარჩავას,** რომლებიც მე-5 თანრიგოსნები არიან. ასევე, ნიჭიერებით გამოირჩევიან **ნიკოლოზ დაბრუნდაშვილი, ლუკა რატიანი, ნინი ბაგაშვილი, გაბრიელ მგელაძე** (6 წლის) და **გიორგი დევდარიანი** (5 წლის).

დიდად პოპულარული არიან და წარმატებები აქვს ქართულ ხალხურ სიმღერათა და გიტარის გოგონათა ანსამბლს, რომლებიც მონაწილეობენ სხვადასხვა ფესტივალებსა და კონკურსებში. სულ მალე კი, ბათუმში გაემგზავრებიან საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. ასე რომ, მოსწავლეების და მასწავლებლების შემოქმედებით საქმიანობას სასიხარულო ნაყოფი მოაქვს.

საგულისხმოა, რომ **ლია კოპალიანის** ინიციატივით და თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორის **მანანა წნორიაშვილის** გვერდში დგომით, გლდანის, ნაძალადევის, ისნის და საბურთალოს სახლებში დაინერგა ინგლისური ენის სწავლების ახალი მეთოდი, სხვადასხვა დონეების მიხედვით.

ლიანა კოპალიანი: ჩვენი სახლი აქტიურად თანამშრომლობს დედაქალაქის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სხვადასხვა ფილიალებთან. კოლეგები ხშირად ვიკრიბებით, ვაწყობთ კონფერენციებს და ერთმანეთს ვუზიარებთ საკუთარ გამოცდილებას.

ახლახან, ერთობლივად ჩავატარეთ **„სლაიდ-შოუს“** პრეზენტაცია – თბილისის ღირშესანიშნაობების ჩვენებით, სადაც მონაწილეობდნენ **გლდ**ანის, **ისანი-სამ**გორის, **ნაძალა**დევის, **საბურთალოს** და **დიდუბის** ფილიალების ინგლისური წრეების მოსწავლეები. აქვე, გაიმართა წარმატებული მოსწავლეების დაჯილდოვება. პრეზენტაციამ დიდი მოწონება დაიმსახურა და სამომავლოდაც ვაპირებთ მსგავსი ღონისძიების უფრო საინტერესოდ ჩატარებას. ჩვენი მთავარი მიზანია: მოსწავლეებმა სრულყოფილი ცოდნა მიიღონ და ჩვენგან კმაყოფილები წავიდნენ. აქვე მინდა საჯარო მადლობა გამოვუცხადო, თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექციას და ქალბატონ **მანანა წნორიაშ**ვილს, რომელიც მუდამ გვერდში გვიდგას და ჩვენთან ნაყოფიერად თანამშრომლობს.

სამომავლოდ, მოსწავლეთა სახლი გეგმავს სწავლის ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებას, სიახლეების დანერგვას. მოსწავლეების დაინტერესებას სხვადასხვა თვალსაჩინოებით, საინტერესო, ემოციური ღონისძიებების გამართვას, ოლიმპიადებისთვის თემების მომზადებას და სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობას.

გვჯერა, ასეთი მუშაობით გამარჯვება გარანტირებული იქნება.

მზია გოგოძე

ჰეი, ბავშვობის დღეებო, დაბრუნდებოდეთ, ნეტავი!

ღმერთმა დაგლოცოთ, 22-ე ბაგა-ბაღელებო!

ჩვენი მერცხლები მალე სკოლისკენ გაფრინდებიან

ჩვენი გაზეთი, ხშირად აშუქებს თბილისის სკოლამდელი აღზრდის სისტემაში არსებულ მდგომარეობასა და სიახლეებს. ამჯერად, გაგაცნობთ 22-ე ბაგა-ბაღს, რომელიც თემქის მე-10 მიკრორაიონში მდებარეობს. აქ შესვლისთანავე იგრძნობა მზრუნველი დიასახლისის ხელი, არის სისუფთავე და წესრიგი. ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და ბაღი აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით. ოთახები და დერეფნები გაფორმებულია სხვადასხვა თვალსაჩინოებით, ყვავილებითა და აპლიკაციებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი დირექტორის მოსვლის დღიდან, ბაღის იერ-სახე საგრძნობლად შეიცვალა და უფრო მომხიბლავი გახდა. მოწესრიგდა სამზარეულო, ბაღისთვის შეიძინეს მაღალი ხარისხის ჭურჭელი, მაგიდა, სკამები, სათამაშოები, სახელმძღვანელოები და ა.შ. ამჟამად, მიმდინარეობს ეზოს კეთილმოწყობა და ატრაქციონების დამონტაჟება. სულ მალე პატარებს ახალი სასრიალო და საქანელები ექნებათ.

ბაღს სათავეში უდგას გამოცდილი და პროფესიონალი ქალბატონი **ნინო გვრიტიშვილი**. იგი, 5 თვეა რაც დირექტორად დაინიშნა და საგრძნობლად გააუმჯობესა აქაური მდგომარეობა. მართალია, მას არ უყვარს საკუთარ თავზე საუბარი, მაგრამ მისი გაკეთებული საქმე თვალსაჩინო და აღნიშვნის ღირსია.

ქალბატონი ნინო, დიდი ხანია სკოლამდელი აღზრდის სისტემაში მოღვაწეობს. მას დამთავრებული აქვს სკოლამდელი აღზრდისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. მისთვის ბავშვებთან ურთიერთობა უდიდესი ბედნიერებაა და საკუთარი შვილივით უყვარს ყოველი მათგანი.

იგი წლების მანძილზე იყო თბილისის 76-ე ბაგა-ბაღის დირექტორი, თუმცა, 2007 წელს, „პოლიტიკური სარჩულით“ უსამართლოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან. როგორც თავად აღნიშნავს, წინა ხელისუფლების დროს, სკოლამდელი აღზრდის სისტემა თითქმის გაანადგურეს და პროფესიონალები „ქუჩაში გამოყარეს’’“.

საბედნიეროდ, სამართალმა იზეიმა და ქალბატონი ლია კვლავ დაუბრუნდა თავის საყვარელ საქმიანობას, რაც ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის **თემურ თორდინავას** დამსახურებაა. ბატონი თემური გვერდში უდგას დირექტორს და ზრუნავს ბაღის კეთილდღეობასა და პატარებისათვის კომფორტული გარემოს შექმნაზე.

ბაღში 509 აღსაზრდელია, სულ 12 ჯგუფია, აქედან 4 გამოსაშვები, რომელთაც გაიარეს **სასკოლო მზაობის პროგრამა** და წელს, 170 პატარას დაულოცავენ გზას საჯარო სკოლის პირველი კლასისკენ...

ამჟამად ბაღში ზეიმების სეზონია. აქ, თითქმის ყოველ დღე, სიმღერისა და მუსიკის ხმა ისმის. ჯგუფებში ტარდება გამოსაშვები საღამოები. თვალხატულა გოგობიჭები სტუმრებს თავიანთი შემოქმედებით ხიბლავენ. პატარების გამხიარულებაზე, მათ ესთეტიკურ აღზრდაზე ზრუნავენ მუსიკის პედაგოგები: **ნათელა ჩაჩიბაია** და **ქეთევან ხვედელიძე**; ასევე, ცეკვის მასწავლებელი **ნათია ჭიაბერაშვილი**.

აღსანიშნავია, რომ 22-ე ბაღში, სულ 54 თანამშრომელია, რომლებიც ერთ გუნდად არიან შეკრულნი და მონდომებით ზრუნავენ მომავალი თაობის აღზრდაზე.

დირექტორი მაღალ შეფასებას აძლევს თავისი მოადგილის **ხათუნა აბაშიძის** და საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორის **მარიამ მამულაშვილის** საქმიანობას. ისინი ხომ თავიანთი საქმის მაღალი პროფესიონალები არიან. ასევე, ქების ღირსია სამეურნეო ნაწილის კოორდინატორის **ია ბელთაძის**, საქმის მწარმოებლების: **მარინე არაბულის** და **ნინო აღაშვილის** საქმიანობა.

ბავშვების სისუფთავესა და ჯანმრთელობაზე ბევრს ზრუნავენ ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორები: **ლამარა სიდამონიძე** და **ნათია დარსაველიძე**.

კვება, როგორც სხვა ბაგა-ბაღებში, აქაც შესანიშნავია. დაცულია ყველა ნორმა: კალორიულობა, ცილებისა და ცხიმების თანაფარდობა. პატარებს გემრიელ კერძებს უმზადებენ მზარეულები: **მაია ამირანაშვილი, ნანა მამაცაშვილი** და **მერი კოკაია**.

ამ საბავშვო დაწესებულებაში დიდი მზრუნველობით ეპყრობიან განსაკუთრებული საჭიროების მქონე პატარებს, რომელთანაც ნაყოფიერად მუშაობს სპეც-პედაგოგი **ირმა სამხარაძე**.

ბავშვებზე დედასავით ზრუნავენ და მათ სულს უფაქიზებენ ჩინებული აღმზრდ**ელები: ნანული ძებისაშვილი, გულნაზი კიკნაძე, ნინო მაისურაძე, მზია ვაზაგაშვილი, ანა საბაძე, თინათინ სავაძე, თეა ორჯონიკიძე, ნელი მეგრელიშვილი, ირინე მაისურაძე, თამარ სალუქვაძე, თამარ სინატაშვილი** და **შორენა ენუქიძე**. მათ გვერდში უდგანან თანაშემწეები: **მარიამ ჯავახიშვილი, ლალი ბუაძე, ლარისა ჭიღლაძე, თეა მეტონიძე, სოფიო კოჟარა, ჯილდა ვახანია, ლედი ტარტარაშვილი, მაკა მამაცაშვილი, ეკატერინე ფარსაღაშვილი, ნონა ჯავახაძე, ნესტანი ფოფხაძე, ნინო ავდოიანი, ლალი ბერიკაშვილი, მარინე კუცია, მანანა კურდღელაშვილი** და **ხათუნა თოდუა**.

22-ე ბაგა-ბაღი პოპულარული და მიმზიდველი რომ არის, ბაღის თითოეული თანამშრომლის დამსახურებაა. მათ შორის დიდი წვლილი მიუძღვის ტექპერსონალს. **თამარ სურამლიშვილი, ევგენია მალხასიანი, მანანა ჯლანტიაშვილი, ციალა ჩიჩხაშვილი, ეკატერინე ბარნაბიშვილი, ელენე ბურდული, ეკატერინე ლალაშვილო, ლალი ანდრიაძე, ბესიკ ჭიჭინაძე, თეიმურაზ ავდოიანი** და **მალხაზ სურამლიშვილი** თავდადებით შრომობენ.

ერთი სიტყვით, ბაღის დირექტორი და მთელი კოლექტივი, ძალ-ღონეს არ იშურებს იმისთვის, რომ ეს საბავშვო დაწესებულება იყოს გამორჩეული და სანიმუშო. აქაური მესვეურები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ პატარებს ზღაპრული გარემო შეუქმნან და მათ ცხოვრება გაულამაზონ.

მზია გოგოძე

მილნევები – სასიხარულო, პერსპექტივა – საუკეთესო

ზღვის ამ მიდამოებში ადრე ვარკეთილის მძლავრი მევენახეობის მეურნეობა ყვაოდა. ამჟამად მეურნეობა არ არის, მაგრამ არემარე, უფრო დამშვენებულა და წალკოტს დამსგავსებია. აქ კორპუსები წარმომართულა და მოსახლეობა მომრავლებულა. ბუნების წიაღში ჩაფლულა გარეუბნის მშვენება 215-ე საჯარო სკოლა.

აქ ძლიერი პედაგოგიური კოლექტივი მოღვაწეობს. მას შემოქმედებითად უძღვება გამოცდილი დირექტორი **ალექსანდრე კეჩხოშვილი**, რომელსაც 20 წლის პედაგოგიური სტაჟი ამკობს. იგი, ადრე უნარიანად ხელმძღვანელობდა ამავე რაიონის 152-ე სკოლას. მოკლედ, გთავაზობთ 215-ე სკოლის გაცნობით მიღებულ შთაბეჭდილებებს.

●●●

სკოლა გაისად დაარსებიდან 50 წლისთავს იზეიმებს. ამჯერად დირექტორს საიმედოდ მხარში უდგანან გამოცდილი მოადგილე **მაია ფალია**ნი, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **ნინო ლომი**ძე, გამობრძმედილი 37 პედაგოგი, რომელთაგან 15 უფროსი მასწავლებელია. სკოლის ხალისიან

ცხოვრებას განაპირობებს მოსწავლეთა თვითმმართველობის საინტერესო აქტივობები XI კლასელი **გიორგი მაკარაშვილის** თაოსნობით.

სწავლებაში მაღალი შედეგები პირდაპირპროპორციულია საგნობრივი კათედრების მოქნილი მუშაობისა. კათედრებს კი უნარიანად ხელმძღვანელობენ: ქართული ენა-ლიტერატურისას – **თეა სოფრომაძე**, მათემატიკა-ტექნოლოგიებისას – **ნინო კუპრაძე**, უცხოური ენებისას – **ტატიანა ტიმოფეევა**, საზმეცნიერებისას – **ნანა ჩოხელი**, საბუნებისმეტყველოს – **ცირა ხაშმელაშვილი**, ესთეტიკა-სპორტისას – **ირინე ყარყარაშვილი**.

ღვაწლმოსილ მასწავლებლებს: **გრაციალა ხმალაძ**ეს, **მანანა გეგეშ**იძეს, **ლილი თოდრა**ძეს, **ზოია მარგველ**ანს, **ლეილა ყარყარაშ**ვილს, **მანანა თვაურ**ს, **ცირა ხაშმელაშ**ვილს, **დალი მაზმიშ**ვილს, **ზოია აბშილა**ვას, **ქეთევან ლომიძ**ეს, რომელთა პედაგოგიური სტაჟი 3 და 4 ათეულ წელს აჭარბებს, ტოლს არ უდებენ ახალგაზრდები: **ფიქრია დვალ**ი, **თამარ მაჭარაშ**ვილი, **სალომე ლომი**ძე, **თეა სოფრომა**ძე, **ტატიანა ტიმოფეევ**ა, **ეკა შავერდაშ**ვილი, **ნანა ჩოხელ**ი, **ეკა გვარლია**ნი, **მაია აფციაური** და სხვები.

სკოლა აქტიურად არის ჩართული დაწყებითი განათლების პროექტის „**G-Pried**“ განხორციელებაში, რომელშიც მონაწილეობენ დაწყებითი კლასების ქართულისა და მათემატიკის მასწავლებლები **მაია აფციაური** და **ეკა გვარლია**ნი.

მასწავლებლის, **ფიქრია დვალის** ხელმძღვანელობით სკოლის მოსწავლეები აწყობენ მრავალფეროვან აქციებს სასკოლო და სკოლისგარეშე ცხოვრების გასააქტიურებლად. პროგრამა **„მომავლის თაობის“** მიერ გამოცხადებულ კონკურსში მოპოვებული გრანტით მოსწავლეებმა სპორტის მასწავლებლების **ელგუჯა ბითაძის** და **თეიმურაზ აბრამიშვილის** დახმარებით სკოლის ეზოში ააგეს კომბინირებული სპორტული მოედანი. საქველმოქმედო დახმარება გაუწიეს კომპანია **„ჰაიდელბერგცემენტ-ჯორჯიამ“** და **შპს „ქვენიფნელი“**-ს დირექტორმა, ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულმა **ივანე ბიბილურმა**, რომელმაც მოედანზე ასფალტის საფარი დააგო.

შარშან სკოლას ჰყავდა 1 ოქროს მედალოსანი – **თინათინ ლუხუტაშვილი**.

წელს მედლის კანდიდატი ორია: **მეგი შველიძე** (ოქრო) და **მარიამ ხუციშვილი** (ვერცხლი). პროგრამა **„ჩემი პირველი კომპიუტერის“** ფარგლებში წარჩინებული სწავლისათვის მე-10 კლასის მოსწავლეებმა **ანა კვარაცხელიამ** და **სოფო ყარყარაშვილმა** მიიღეს საჩუქრად ნოუთბუკები.

„მოქალაქის“ მიერ ინიცირებულ სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის მესამე ტურშიც გადავიდა **თ. ლუხუტაშილი**. რობინსონის ოლიმპიადაზე მე-3 ტურში გავიდა 8 მოსწავლე და აიღეს დიპლომები. **„კინგსის“** ოლიმპიადის მესამე ტურში გამარჯვებული არის 25 მოსწავლე.

ახალგაზრდები დაკავებული არიან სხვადასხვა სპორტულ სექციებში: IX კლასის მოსწავლე **ვალერი ნადირაშვილი** არის საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი კარატეში. VII კლასის მოსწავლე **თამარ გაგოშიძე** არის ჩოგბურთში ახალგაზრდული ნაკრების პირველი ნომერი და სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული. XI კლასელი **კოკა ღარიბაძე** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრია თავისუფალ ჭიდაობაში.

კლასის დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები აქტიურად უწევენ ხელმძღვანელობას სხვადასხვა კლასგარეშე და სასწავლო ღონისძიებებს. უწყობენ შეხვედრებს საზოგადოების გამოჩენილ პიროვნებებთან. აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა კონკურსებსა და პროექტებში. ასაკის მიუხედავად, ახალგაზრდული ენერგიით მოსწავლეებთან ერთად სხვადასხვა სასწავლო კონფერენციებსა და ღონისძიებებს ამზადებს ბიოლოგიის მასწავლებელი **დალი პაპიძე**.

სკოლის გუნდმა ბიბლიოთეკარის **მარინე ფიცხელაურის** ხელმძღვანელობით პირველი ადგილი მოიპოვა **„მე ვსწავლობ ბიბლიას“** კონკურსში. VII კლასის მოსწავლეების ინიციატივით ჩამოყალიბდა კლუბი **„წიგნის მეგობრები“**, რომლის მიზანიც მოსწავლეებში წიგნიერების ამაღლებაა.

მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სპეცპედაგოგის **ნატო აშვეთიას** ხელმძღვანელობით, მოეწყო საქველმოქმედო ღონისძიება. ბავშვებმა საჩუქრები (წიგნები, ტანსაცმელი და სათამაშოები) წაუღეს კოჯრის უნარშეზღუდულ ბავშვთა სახლის ბენეფიციარებს.

სკოლაში შექმნილია ქართული ხალხური ცეკვის წრე და საცეკვაო სტუდია, რომლებიც სხვადასხვა რანგის ფესტივალებზე წარმატებით გამოდიან მაყურებლის წინაშე.

აი, წარმატებები, რომელიც საუკეთესო პერსპექტივას გვისახავს – მაღალი შედეგები უთუოდ გარანტირებული იქნება.

ბორის ევგენიძე

თბილისის 215-ე საჯარო სკოლაში

გაიცანით ჩვენი სკოლა

მარტვილის რაიონში ულამაზესი სოფელია **ტალერი**. სოფლის სახელი ევროპასთან ასოცირდება და იგი წარმოსდგება ფრანგული ფულის ერთეულიდან, ტალერიდან, რომელიც ჩეხეთში 1555 წელს მოიჭრა. გადმოცემის თანახმად XIX საუკუნეში აქ ფრანგებს ხის დამამუშავებელი ქარხანა ჰქონიათ და გლეხებს გასამრჯელოდ ტალერს აძლევდნენ. „აბა მივშათ ტალერიშა“, – ამბობდნენ თურმე, მეზობელი სოფლებიდან სამუშაოდ მომავალი გლეხები. დღეს სოფელში ფუნქციონირებს ორი სკოლა: **ტალერის** საჯარო (დირექტორი – **მერაბ ჯიჯელავა)** და **ოჩეს** საბაზოს (დირექტორი – **მარინე თორდინავა)** სკოლა. აღნიშნული სკოლის დირექტორები მუდმივად გამოხატავენ მზაობას განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების თავიანთ სკოლაში დასანერგად და შესაბამისად, სასკოლო ცხოვრებაში დაცული გარემოსათვის ყველა პირობის უზრუნველსაყოფად. მათი მიზანმიმართული თანადგომა, დახმარება ემსახურება სწავლას და სწავლებაში უამრავი სიახლისა და პრობლემების თანმიმდევრულ და ერთობლივ გადაჭრას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლებისათვის პროფესიული განვითარების მიმართულებით, ხოლო მოსწავლეებში ცოდნის, უნარისა და დამოკიდებულების გასავითარებლად. ყოველივე აქედან გამომდინარე დირექტორები მოსწავლეების და პედაგოგების ინტერესების დამცველ ერთგულ მეგობრად აღიქმება. აღნიშნული დამოკიდებულება, სასკოლო ცხოვრების პრაქტიკაში ეროვნული სასწავლო მიზნების დანერგვის (ზოგადსაკაცობრიო იდეალებზე აღზრდილი თაობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით), პრობლემების იოლად დაძლევის და საერთო მიზნის მიღწევის საუკეთესო წინაპირობაა.

ტალერის საჯარო სკოლაში ჩატარებული ღონისძიებები უახლოესი ქრონიკიდან:. „მარტვილის ყველაზე ჭკვიანი“ მონაწილეობა მიიღო მარტვილის მუნიციპალიტეტის 16-მა საჯარო სკოლამ. გამარჯვებული გამოვლინდა: ხუნწის საჯარო სკოლის მოსწავლე - თემიდა ჩიხლაძე (I ადგილი), ლაშა ჯოჯუა -II ადგილი, კურზუს საჯარო სკოლა, თათია ხვიჩია - III ადგილი დიდი ჭყონის საჯარო სკოლა. აგრეთვე ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტები: „სიყვარულით გაკეთებული არჩევანი“, „გახდი დროებით სხვა“, კონფერენცია „რა არის ბულინგი“. თეატრალური წარმოდგენა ბათუმში-,,ისტორიის ერთი დღე“

ინტეგრირებული გაკვეთილის ხიბლი

ინტეგრირებულმა სწავლებამ გლობალიზაციის ეპოქაში კიდევ უფრო მეტი აქტუალურობა შეიძინა. მასწავლებლებისათვის მეტად სავალდებულო და სახალისო აქტივობაა ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება. სამოდელო გაკვეთილი მათემატიკასა და ისტორიაში. გაკვეთილის თემა: 1. ორი წრეწირის ურთიერთგანლაგების შემთხვევები; 2. ბორბლის აღმოჩენის ისტორია. მათემატიკის მასწავლებელმა **ქეთინო ბჟალავამ** და ისტორიკოსმა **ლია გულორდავამ** შესანიშნავად შეძლეს თავიანთ საგანში ნასწავლი, განსხვავებულ საგანთან დაეკავშირებინათ. მათ მოახერხეს შეძენილი ცოდნისა და უნარების ერთი სფეროდან მეორეში გადატანა (ტრანსფერი). გაკვეთილმა უზრუნველყო ინტეგრირებული საგნების შესაბამისი სასწავლო შედეგების მიღწევა.

ამოვავალი მსახიობები

„**მასწავლებლის** პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის“ გათვალისწინებით და მასწავლებლის სამოქმედო გეგმის მიხედვით, პირველი კლასის მასწავლებელმა **თამთა ჯიჯელავამ** მოსწავლეებთან ერთად შექმნა რესურსები და წარმოადგინეს სპექტაკლი **„წითელქუდა“**. სპექტაკლი იყო შემოქმედებითი სუნთქვის, თავისუფალი აზროვნების ბრწყინვალე ნიმუში.

მოსწავლის შემოქმედება

კვლევა-ძიება პაპის ნაკვალევზე



მოგზაურობა მინდება დროში და კვლევა-ძიება პაპის ნაკვალევზე. რატომ მომინდა მოგზაურობა დროში. ჩემი დიდი ბებიის, მაშის (ჩემი მამის ბებია) მონათხრობიდან მინდა დავადგინო, სინამდვილე, რაჟდე პაპას თავგადასავალზე, ტყის დედოფალ ალისთან, მისი გამიჯნურების თაობაზე. ჩემი მიზანთა მიზანია, ერთი ნამდვილი ამბავი ვიხსნა ლეგენდად ქცევისგან. ძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებებით დავანახო კაცობრიობას, რომ ლეგენდები და ზღაპრები სინამდვილეში უკვე მომხდარი ამბების ანარაკლია და არა ფანტაზიის ნაყოფი. მოგზაურობის პირველი ნაბიჯი ჯერ ჩემს „კარცერ ლუქში“ მითებსა და თქმულებებზე ინფორმაციების მოძიებით დავიწყე, შემდეგ ტიმ სევერინივით ღია სივრცეში გავედი და გამიჩნდა სურვილი თქმულებების ბურუსში გახვეული ჩემი საბუდარი ნობული, დაკვირვებული თვალით ხელახლა მომეხილა. დათვალიერებისას აშკარად ვიგრძენი, რომ ყოველივე ამით, პაპის თავგადასავლის გაცოცხლებას ვცდილობ. ჩემი ნობული ჩემი ტალერის პატარა უბანია. იგი ვედიდის მთის ძირში ლამაზად შეკაპიწებული სოფელია, აქ ნობულის ზედა სივრცეში ჩახვეული რელიეფი: **დობერას**, **ნანწყვის**, **ლასიას**, **გაგურუს**, **ოსხაპუეს**, **ოტურეშის**, **ოკირეშის**, **საჭაპანოს**, **წელამონის**, **ონტყოლეშის**, **ჩხირის**, სერიულად აღმავალი გორაკები, ერთმანეთზე გადასასვლელი ხიდებით შეკრული, ოკრო-ბოკრო ხევები, საცალფეხო ბილიკები, მთის წიაღიდან გამოვარდნილი ლეფეთქირი, ოძილე, მრავალი წყურგილი, დაღვარჭნილი უბნები მრავალრიცხოვან კუთხე-კუნჭულებს ქმნიან, საიდანაც იმზირება ფანტასტიკური სილამაზე, რელიქტური ლანდშაფტები და ცოცხალი პეიზაჟები. ამ მრავალფეროვნებაში იგრძნობა უნიკალურობის განცდა, ბუნების ჰარმონია, თვალწარმტაცია ზღაპრულ ფერთა ცეკვა-თამაში, ხეები შრიალებენ, ფრინველები ვიოლინოს უკრავენ, მდინარეები ჯაზს, დათვები დაფდაფებენ, ტურა კივილით იკლებს აქაურობას, მგლის ყმუილი ბუნებას კიდევ უფრო ეგზოტიკურს ხდის... მოკლედ ნობულში ცოცხალი ბუნების ფერთა თავისებური მუსიკალური ორკესტრია გამართული. პირველმა ნაბიჯმა კიდევ ერთხელ, დამარწმუნა მომხდარის რეალობაში, ტყაშმაფა სწორედ ასეთ მიუვალ ადგილ-სამყოფელს ეძებდა საცხოვრებლად, აქ ახვევდა ალი სიყვარულის ალში ულამაზეს ჭაბუკებს და ითანხმებდა მათ მის მიერ შედგენილ კონსტიტუციის დაურღვევლობაზე. ტყის ქალისა და ჭაბუკის ურთიერთობა ტყაშ-მაფასგან „ვეტო“ დადებული იყო. მასზე საუბარი „ვაშინერს“. (გაგრძელება იქნება)

ტალერის საჯარო სკოლის
XI კლასის მოსწავლე
ანრი ჯოჯუა

ოლიმპიადის გმირები

ტალერის საჯარო სკოლაში 16, 18, 21 აპრილს სამ ეტაპად ჩატარდა ოლიმპიადა: **„ორი სკოლის საუკეთესო ნორჩი ისტორიკოსი“**, სადაც მონაწილეობა მიიღო **ტალერის** საჯარო და **ოჩეს** საბაზო სკოლის 41-მა მოსწავლემ, გამოვლინდა სამი გამარჯვებული და ნორჩი ისტორიკოსების საუკეთესო ათეული. მოსწავლეები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით და სიგელებით. პირველი ადგილი VI კლასის მოსწავლე **დიმა ნაჭყებიამ**, მეორე ადგილი – XI კლასის მოსწავლე **ქეთი მორგოშიამ** დაიკავა, ხოლო მესამე ადგილზე – IX კლასის მოსწავლე **ლაშა წულაია** გავიდა.

გვერდის ავტორია
ლია გულორდავა,
ისტორიის მასწავლებელი

სასიხარულო ამბები სამეგრელოდან

ნომრის სკუმარია მარტვილის რაიონის სოფელ ტალერის ორი სკოლა

როგორი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ჩქეფს ზემოაღნიშნულ სკოლებში? ამის შესახებ მოგვითხრობს იმ ულამაზესი კუთხიდან მოსული ინფორმაციები.


ოთარ ბელქანია

ПОЕЗИЯ – УПАИРЗВЕЛЕС ЖОВЛИСА!

ითლესაც მუზების შრიალი მთლიანად შეგძლიან

ჩვენი სტუმარი მითიურ კოლხეთში, კერძოდ, წალენჯიხაში დაბადებულ-გაზრდილი, თავის ოდაბადეზე ფანატურად შეყვარებული ადამიანი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე **ოთარ ბელქანია** გახლავთ. მისი ლექსები სავსეა სითბოთი, სიყვარულით.

გთავაზობთ ჟურნალისტ **ირმა მებონიას** მოკლე ინტერვიუს ამ ორიგინალური ხმის პოეტთან.

●●●

– ბატონო ოთარ, როგორც გავიგეთ, მშობლებისგან მემკვიდრეობით გამოგყვათ პოეზიისადმი სიყვარული.

– ნამდვილად ასეა, ჩემი პოეზიისადმი სიყვარული ღრმა ბავშვობიდან, ანუ ფესვებიდან იწყება. მამა **ვარლამ ბელქანია** ცნობილი პედაგოგი, განათლების განყოფილების გამგე, ძლიერი ფილოლოგი, ქართულ პოეზიაზე უზომოდ შეყვარებული იყო. ჩემმა ტკბილმა ბავშვობამ ლამაზ წალენჯიხაში ჩაიარა! იმ წალენჯიხაში რომელიც დღეს ჩემთვის საოცნებო ზღაპარია, აქ შევიგრძენი „პირველი მუზების შრიალი“. დედა, **ლოლა ჭანტურია**, პედიატრი იყო, ისიც თაყვანს სცემდა მხატვრულ სიტყვას. ლიტერატურა მშობლებმა ისე შემისისხლხორცეს, სამუდამოდ მისი ერთგული დავრჩი.

– რა ასაკიდან წერთ ლექსებს? როდის „გეწვიათ მუზები“?

– მუზის შრიალი ყოველთვის დედის ნანასავით ჩამესმოდა, მაგრამ ქაღალდზე არასოდეს გადამიტანია.

უამრავი ლექსი დროსა და სივრცეში უმისამართოდ გამეფანტა.

– ბავშვობის წლები წალენჯიხაში გაატარეთ, ამჟამად რა კავშირი გაქვთ მშობლიურ კუთხესთან?

– სიყმაწვილემ „მუზების წალენჯიხაში“ ჩაიარა. გრანელის წალენჯიხაში, მაიაკოვსკის ქუჩაზე ვცხოვრობდით... სტუდენტობის პერიოდიდან საქმიდან გამომდინარე მე და ჩემი ძმა

ნინო ბელქანია

ნოდარი ორივე თბილისს შემოვრჩით. ნოდარი ფსიქოლოგიის პროფესორია, იყო დედა უნივერსიტეტის დეკანი. ამჟამად, ამავე უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს. ორივეს საოცარი ნოსტალგია გვაქვს წალენჯიხის, ხშირად ვსტუმრობთ ფესვებს, ბევრი მეგობარი და მოყვარე გვყავს იქ.

– ლექსებს წერთ ქართულ და მეგრულ ენაზე... რომელი უფრო გეადვილებათ?

– არ მიწყინოთ, მაგრამ პროვოკაციულია შეკითხვა (იცინის), ასე მგონია, აზრის ხატოვნად გამოთქმა უფრო ადვილია მეგრულად, რადგან ერთ სიტყვას უამრავი შესატყვისი და არსი აქვს. ილია და აკაკი მეგრულ ენას ქართული სიტყვის სალაროს უწოდებდნენ. სწორედ, ამაშია ქართული ენის გენიალობა.

– თქვენი ლექსების პირველი მკითხველ-შემფასებელი და გულშემატკივარი ვინ არის? ლექსთან დაკავშირებით ვისი აზრია თქვენთვის მნიშვნელოვანი?

– ჩემი ლექსების შემფასებელია ხმა, რომელიც ჩამესმის და მეუბნება, რომ ის უნდა ვიყო, ვინცა ვარ. მერე კი არიან ჩემი უახლოესი მეგობრები; **„მუზის შრიალმა**, ვიცი, რაც მომცა, **ცრემლი მიბინდავს სევდიან თვალებს, ისეთი რაღაც მინდა მოვქარგო, მეც რომ დამცლის და შენც გაგახარებს“**.

– სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით? ვიცი, თქვენი ლექსების კრებული გამოსაცემად მზად არის.

– სამომავლო გეგმებზე წინასწარ საუბარი არ მიყვარს. ცხოვრება ჩემი გეგმების მიხედვით არ მიდის, ბევრი ტკივილი გამოვიარე, მაგრამ ფარ-ხმალს არასდროს ვყრი. დიახ, მზადდება გამოსაცემად ჩემი ლექსების წიგნი.

მშობლებთან

ოთარ ბელქანიას ლექსები

ნინოს

არა მგონია, სხვას რომ შეეძლოს,
მსგავსი ციალი თვალთა ალისა,
ისე მორცხვი და თანაც გამჭოლი,
ვით გამოხედვა კოლხი ქალისა.

ჩემო ერთადერთო

(ლ. ც. -ს.)

მაისის ბაღში რამდენიც,
ქორფა და ტურფა ვარდია,
წუთისოფელში ჩვენამდე,
რამდენიც დაუბარდნია.
გულ-აცრუების სამსხვერპლოდ,
რამდენი ცრემლიც დენილა,
უმანკოების მანდილი,
რამდენსაც შემორჩენილა.
იმდენ სიყვარულს გაჩუქებ,
რაც ჩემს ლექსებში მიქია,
ვეამბორები შენს ბაგეს,
ჩემო ლამაზო ფიფქია.

წერილი

(მეგრულად)

სქან მასქვამა შხვადო მირე,
ჭე წყარი დო ჭიჭე დიხა,
კოჩანათ რკვანილი რექ,
კვეკვერია წალენჯიხა!
ბჟა დო თუთაშ მარდი გიღუ,
სქან ყოროფა მის ბკითხა,
დემეფიში ოდაბადე,
ირ მარას ქიმგაკითხა.
წისქვილარაშ მენძელი რე,
კალმახა დო რიყეშ ქუა,
სი რექ ჩქიმი ოხვამური,
ხიოლი დო გურიშ ჭუა.
ბრელ სქუაქ გასახელ,
ვართ შხვეფირე გვალო ხიხა,
გრანელიში არკვანი რექ,
ჩქიმი ჭკვერი წალენჯიხა!
სქან ჯერღვებც იწკუმონტ,
ძალა ხატიშ მინაჩემი,
არძა კუნთხუს გასკვამენდ,
ქიაჩი დო ქიაჩელი.

ჭოიდი

გაფანტულია გარშემო ბინდი,
გარემოს ლექსის ფერი ედება,
ის შეიძლება უდროოდ ჩაქრეს,
მაგრამ არასდროს არ დაბერდება.
მისი სახატე მუდამ ანათებს,
სხივებით ხარშავს ფიქრიან პწკარებს,
ვერ ეგუება ნისლიან სივრცეს,
და ვნებით ამსხვრევს დახურულ კარებს.
ცისკარი აწვდის ცვრიან ბარათებს,
ყველა წერილი ზეცის ფერია,
და შორეული ლანდი აფეთებს,
მისი მახვილი კალმის წვერია.
სანამ ჩაქრება ბოლო ლამპარი,
მას არ ჩვევია თავდავიწყება,
რადგან არასდროს არ არის გვიან,
და ყველაფერი ახლა იწყება.
შემართულია მაშვრალი ცელი,
სიკვდილი ვერსად გაეპარება,
მარადისობას ჩაავლო ხელი,
არ უწერია აქ ნეტარება.
წრფელი მგოსანი გედივით კვდება,
ღრუბლებში ახვევს ბოლო ბარათებს,
არც უღამდება, არც უთენდება,
სიკვდილის შემდეგ უფრო ანათებს.
ამ წუთისოფლის შემოღამება,
არც სიზმარია და არც ზმანება,
სევდის კალოა პოეტის ხვედრი,
მისი ჯვარცმა და მისი წამება.

ვოდგომს!

ქრისტე აღდგაო, მერამდენედ უნდა გვახარონ,
კაენის ქსელში გახვეულა მაინც სამყარო,
რამდენი ვწრუპეთ, მათრობელა ცოდვის ბადაგი
ვერ გავახარეთ მაინც ჭია გულის დამდაგი.
უაზროდ ვზიდეთ წუთიერი ჭაპანი ჩვენი,
დავიმსახურეთ ჯოჯოხეთის უძირო ბჭენი,
ერთი იმედი თავს დაგვყურებს,უფალო შენი,
უმადურობის ჩამოგვრეცხო, ულევი სენი.

ოთმე ცეძერთან

(წალენჯიხა, მაცხოვრის ეკლესია)

დუმილი ფარავს მიმალულ ფიქრებს,
მივყვები აღმართს გული ვერ ითმენს,
და მთვარის შუქის მკრთალი ნათება,
სამცაცხვის გორას ჩრდილებით ავსებს.
მაცხოვრის ტაძრის გამოჩნდა სვეტი,
საუკუნეთა ენით მეტყველი,
გარსმახვევია ფიქრების რკალი,
და მარტოობას ვერ გავექცევი.
საფლავების წინ ლანდი ჩაივლის,
და მერე სადღაც მიიმალება,
გულს შემზარავი სიჩუმე ზაფრავს,
და დემონური იდუმალება.
ტაძრის ეზოში სანთელი ბჟუტავს,
წარსულს ანათებს ხსოვნის ნათელი.
მოგონებათა წმინდა აჩრდილი
ზეცას არტყია როგორც სარტყელი.
ცის კამარაზე ჩაფიქრებული,
ვარსკვლავებს ითვლის ბებერი მთვარე,
მისი ნათებით დაშინებული,
თითქოს ქედს იხრის გრძნეული ღამე.
უცებ ჩამოჰკრა მაცხოვრის ზარმა,
დაბლა დაეშვა სხივი ციური,
არ მობრუნდება ძველი ვაება,
არც ნეტარება ამქვეყნიური.
ვდგავარ ტაძართან გარინდებული,
ბობოქრობს გულის ყველა იარა,
წმინდა საფლავებს ვეჩურჩულები,
შავმა ბურუსმაც გადაიარა;
იძინეთ მშვიდად! ქვეყნად ბევრია,
თქვენზე ლოცვებში ღამისმთეველი,
დიდება უფალს! კურთხეულია,
მარადიული სასუფეველი.

●●●

კლდეში არწივთა ბუდეა,
გვერდით ჯიხვების თარეში,
ძნელია მშვიდად გეძინოს,
ამ გასაოცარ მხარეში.
ვარდი აყვავდა ეკალზე,
კორდებში ხარობს იაო,
შენ კი ქართველო ბაღნარში,
ხავსი რად მოგერიაო?!

მაინც რა შეხვდრია

ჩაგვესმის როგორც ზღაპარი,
მაღლა წვიმს,დაბლა დარია,
ჩვენი სამშობლოს მთა-ბარი,
სხვასთან რა შესადარია.
ცაში მერცხალი ნავარდობს,
მიწას კი ვარდი ჰფენია,
გაშტერდე, და არ უმღერო,
როგორი მოსათმენია.
ეს არის ჩვენი ქვეყანა,
ღვთისგან საჩუქრად რგებული,
როგორც ქალწული კენარი,
ირმის ყელაღერებული.
მაგრამ ვინ იცის ბედკრულთა,
გულში რამდენი ღარია,
როდესაც სიბრძნის მარანი,
სიცრუით განაძღარია.
და ამიტომაც ქართველებს,
სხვა მხრიდან გვიხმობს ზარია,
მაგრამ სამოთხე მამულთან,
აბა რა შესადარია.

ოსტეოპორი ფიქრები

როცა ვიხსენებ მშობლიურ ჭალებს,
მაშინ დარდები სწრაფად ქრებიან,
მინდა მჯეროდეს, რადგან მაწვალებს,
რომ სიყვარულით მემუქრებიან.
ვაზის ტოტებმა თავი დახარეს,
მწიფე მტევნების არის დღეობა,
არ ვიცი ასე რა გამახარებს,
დამილოცნია თქვენი მხნეობა.
მტკვარი კი არა ის ენგური ვარ,
ვისი სხივითაც სამშობლო ელავს,
მეც თქვენებური ჯიშის ნერგი ვარ,
და თვალწინ მიდგას მოყვასი ყველა.
ვინცკი ყოფილა თავისუფალი,
ის გზას გაიკვლევს, არ უნდა შველა,
ზოგჯერ ღამესაც ახლავს ნათელი,
ზოგჯერ თაკარა მზიანშიც ბნელა.
ვიცი სიკვდილი ვერსად წამივა,
და ჩემი გულიც ზღვასავით ღელავს,
რადგან მეც ერთი ის ლერწამი ვარ,
სიცოცხლის ეშხი რომ გადათელავს.

წინასწარმეტყველური ხილვები

დარჩე ყველასგან მიტოვებული,
მაინც არა ხარ ბედისგან კრული,
თუკი იწამე, შენთან ღმერთია,
მარტოობაში იზრდება სული.
ერთი სიცოცხლე, ბევრი წადილი,
გასავლელია მოკლე მანძილი,
არ გვიღირს იმად, რომ შევარცხვინოთ,
კაცის სიტყვა და ქალის მანდილი.
ხომ ლამაზია წუთისოფელი,
სიცოცხლის ეშხი ნავარდობს ველად,
არ შეიძლება აქ ორჯერ მოკვდე,
ერთი სიკვდილი გვეკუთვნის ყველას.

წვიმიანჯიხა

მთის მდინარეში შმაგი კალმახი,
და საოცარი ხიბლი ჭალისა,
დილის ნიავზე უფრო ხალასი,
ეს სათავეა ჭანისწყალისა.
მწვერვალებს მიღმა ფიქრიან ცაზე,
ისე ატყვია ღრუბლის ღარები,
როგორც ქალწულის ქორფა ბაგეზე,
ალმორეული ნატუჩარები.
რა დაგაბერებს თუკი ამ მთებში,
ნაფეხურები განვლე ჯიხვისა,
თუ გიჟრიალებს ჯიუტ ძარღვებში,
შნო და ლაზათი წალენჯიხისა.
აქ სილამაზის არის თარეში,
ბუნებამ თავი წაიხალისა,
არ გაიკვირო,ამ სავანეში,
ძალა რომ იგრძნო ზორბა ხარისა.
წალენჯიხური ზეცის თილისმა,
მუდამ ავსებდა ნიჭის ფიალებს,
აქ დაიბადა მრავალი ღირსი,
და აქ გრანელის სული ტრიალებს.

გეოგრაფიული ბიოგრაფია

დავბადებულვარ ვარდობის თვეში,
როცა თვრამეტგზის ქუხდა მაისი,
მიწას ათრობდა ყვავილთა ეშხი,
და გაზაფხულის ფერთა ხალისი.
ღრუბლიან ცაზე ეკიდა მთვარე,
და განთიადის ყრუ სიწყნარეში,
გარს ევლებოდა ნაღვლიან მხარეს,
ლაკადის მთიდან ნისლის თარეში.
ასე გათენდა პირველი დილა,
ატმის ყვავილებს ფიფქი სცვიოდა,
და კიდევ ერთი მშფოთვარე სული,
ახალ ნაპირზე გადადიოდა.
სიყრმიდან მომყვა მთვარისეული,
ცაში აჭრილი ლურჯი ფერები,
დღეს კი, მიტაცებს მზის ბრწყინვალება,
და მას ყოველთვის მოვეფერები.
სიცოცხლის ალმა გზები დაბურა,
ჩაფიქრებულა ეგრისის ქედი,
ოცნება ცხენზე ამხედრებულა,
წინ მიუძღვება წრფელი იმედი.
დილის ნიავი, როცა მიგზავნის,
ნისლში გახვეულ სევდიან ბნკარებს,
ველარ ვახერხებ სულის მოთოკვას,
მრუში ქალივით გავუხსნი კარებს.
რადგან მოვსულვარ ცოდვილ მიწაზე,
მინდა, რომ ჩემი სანთელიც ენთოს,
თუკი ჩამიქრა მისი ნათება,
გთხოვ, მაპატიო უფალო, ღმერთო.
როცა ჩამოკრავს დაისი ზარებს,
მე მივადგები მაცხოვრის ტაძარს,
სიკვდილის ცელი ვერ შემაშინებს,
ამ წუთისოფლის სიავით მაძღარს.

ვეხვზეთი

შავი ზღვის თავზე მზე ანთებულა,
ნაპირს ამკობენ ლურჯი სხივები,
სად არ ვეძებდი აქ შეკრებილან,
ჩემი ოცნების ქარტეხილები,
მარადიული გაზაფხულია,
სტუმრებს ელიან პალმის ჩრდილები,
მშობლიურ მხარეს ეფერებიან,
შორიდან მისი გამოზრდილები.
ნარინჯის ბაღში ლაჟვარდს უმღერენ,
ფაფარაშლილი ხეთა მწკრივები,
სიყრმის ნაკვალევს ვერ პოულობენ,
ბედუკუღმართი დროის ხიზნები.
შენი აჩრდილი თან დამსდევს მუდამ,
სიყვარულს ხავსი არ ეკარება,
თუ გახლეჩილი სული შეერთდა,
არ უწერია გადაგვარება.
ბიჭვინთის პარკში მთვარიან ღამით,
ორღანის ქვითინს ისმენს თოლია,
რა დრო გასულა უშენოდ ჩემო,
ახალგაზრდობას ჩაუქროლია.
არ მინდა დარჩეს ეს მოგონებად,
ტკივილი წამლით განიკურნება,
აფხაზეთია გულის ნაწილი,
მომნატრებია იქ დაბრუნება.

ვეფხვი თშავეოლს

ისევ ქარიშხალს აპირებს,
მარადიული ბინდია,
ცხელა შავი ზღვის ნაპირებს,
ღრუბლები მთისკენ მიდიან.
ზვარად გაშლილი ცდუნება,
ჩინურ კედელზე დიდია,
ქართული სულის სამზეოს,
ყოველ კუთხეში ჰყიდიან.
დღეს არც ლუხუმი არა გვყავს,
და არც ხოგაის მინდია,
მთას, რომ ბართან აკავშირებს,
შენი ჩადგმული ხიდია.
,,ხან გაღმა, ხანკი გამოღმით,
ფიქრი გვკლავს მოუთმინარე''
გვინდა, რომ ჭირი-ვარამი,
თან გავაყოლოთ მდინარეს.
ველარ მივიღეთ ნაყოფი,
ღირსი შენებრი ფესვისა,
რომ შეეწიოს ქვეყანას,
მადლი ღვთიური ლექსისა.
ისევ დაიჭრა არწივი,
ჟამი დაგვიდგა მყრალია,
დამხვდურიც ბევრი არა სჩანს,
ყორნებთან მეომარია.
ფშავში მთვლემარე არწივი,
დროს ელოდება სვიანსა,
შენი ციური ხურჯინი,
სიცოცხლით ავსებს იასა.
იქნება შეგვაძლებინოს,
ლუხუმთან ერთად დადგომა,
რომ სამუდამოდ გვეღირსოს,
,,ლაშარის გორზე შადგომა''
მთაში ნაწური ბარაქა,
დაღვინებულა მარანში,
მშობელი ენა თუ ხარობს,
ლომის წილი გაქვს ამაში.
მონატრებიხარ ბუნებას,
სიზმარშიც მისი მნახველი,
ქართულ გენიას ამშვენებს,
შენი უკვდავი სახელი.
ჩარგალში ლაღი პირიმზე,
მოტრფიალეა ბარისა,
მარადისობას ეწია,
„მთიდან ყვირილი ხარისა“.

გვიყვარდეს მასწავლებელი თავზე უფრო მეტად!

აი, როგორ დაასფასეს

ორიოდე თვის წინათ, მესტიის რაიონის სოფელ ბეჩოს საჯარო სკოლაში ჩატარდა ღონისძიება იმ პედაგოგთა საპატივცემულოდ, რომელთაც ამ ასპარეზზე მუშაობის 50-ზე მეტი წელი შეუსრულდათ. მათ განუზომელი წვლილი, ამაგი მიუძღვით ჩვენი სკოლის წინსვლაში, სასახელო მამულიშვილების აღზრდაში. ეს პედაგოგები არიან ქალბატონები: **ცირა (თინა) კვიციანი**, **ვერა რეზესიძე**, **ხავა გურჩიანი** და ბატონი **ილამაზ ავალიანი**.

ვერა რეზესიძე **ცირა (თინა) კვიციანი** **ილამაზ ავალიანი**

ხავა გურჩიანი

ისინი მართლაც სათაყვანებელი პედაგოგები არიან. მათი დამსახურებაა, რომ ამ სკოლაში უამრავი საამაყო პიროვნება აღიზარდა. ვუსურვებთ მათ, პირველ რიგში, ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, დიდხანს მუშაობას ჩვენს სკოლაში, ღმერთი იყოს მათი მფარველი!

იმ დღეს, 9 თებერვალს, დიდი სიხარული სუფევდა ბეჩოში.

თითოეულ პედაგოგს გარკვეული ცხოვრებისეული გზა აქვს განვლილი. რის შესახებაც მოკლედ მოგითხრობთ: ქალბატონ **ცირა (თინა) კვიციანს** დამთავრებული აქვს ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი აგრონომიული-მეხილეობა-მებოსტნეობის სპეციალობით. შემდეგ სწავლა გააგრძელა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. პარალელურად მუშაობდა თბილისის მეცნიერებათა აკადემიაში და აკადემიის სტამბაში.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მუშაობას შეუდგა მესტიის რაიონის ბეჩოს საშუალო სკოლაში ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებლად. აქ იგი დღესაც შემოქმედებითი შემართებით მოღვაწეობს.

გავლილი აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები საქართველოს მასწავლებელთა დახელოვნების თბილისისა და ქუთაისის ინსტიტუტებში ოთხჯერ.

მუშაობის პერიოდში იყო სასკოლო და სასკოლათშორისო მეთოდგაერთიანების თავმჯდომარე, მოწინავე აგიტატორი, პროპაგანდისტი. საზოგადოება **„ცოდნის“** წევრი და თავმჯდომარე, **„წიგნის მოყვარულთა საზოგადოების“** წევრი.

დაჯილდოებულია ბევრ კონკურსში გამარჯვებისათვის სამკერდე მედლით. სხვადასხვა დილპომებითა და მადლობის ფურცლებით.

ვერა რეზესიძემ საშუალო სკოლა დაამთავრა გულრიფშის რაიონის სოფელ აჯარაში. 1959 წელს მუშაობა დაიწყო ფარის რვაწლიან სკოლაში მასწავლებლად, 1965 წელს დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების ფაკულტეტი და დაინიშნა სოფელ მაზერის რვაწლიან სკოლაში მასწავლებლად. 1991 წლიდან დღემდე მუშაობს სოფელ უშხვანარის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად.

ხავა გურჩიანს დამთავრებული აქვს თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის გერმანული ენის ფაკულტეტი. პარალელურად ეუფლებოდა მეორად სპეციალობას და მიენიჭა მედდის კვალიფიკაცია. მუშაობა დაიწყო სოფელ ფარის რვაწლიან სკოლაში გერმანული ენის მასწავლებლად, შემდეგ გადავიდა ბეჩოს საშუალო სკოლაში იმავე საგნის მასწავლებლად და პარალელურად მუშაობდა საღამოს სკოლის დირექტორად. 1976 წელს გადავიდა სოფელ უშხვანარის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად, სადაც დღემდე აგრძელებს ნაყოფიერ მუშაობას.

1984 წელს საქართველოს განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულების მუშაკთა პროფკავშირის, საქართველოს რესპუბლიკურმა კომიტეტმა დაჯილდოვა იგი სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში მიღწეული წარმატებისთვის. ასევე ატესტაციასთან დაკავშირებით დაიმსახურა საპატიო სიგელი. გავლილი აქვს ზუგდიდის დახელოვნების ინსტიტუტში კვალიფიკაციის ამაღლების ერთთვიანი კურსები.

ბატონმა **ილამაზ ავალიანმა** საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ადიშის 8-წლიან სკოლაში მასწავლებლად, იქიდან გაიწვიეს საბჭოთა არმიაში, საიდანაც დაბრუნა ლეიტენანტის წოდებით. იმავე წელს განაგრძო მუშაობა ადიშის 8-წლიან სკოლაში რუსული ენა-ლიტერატურის მასწავლებლად. 1964 წელს ჩააბარა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში რუსული ენა-ლიტერატურის ფაკულტეტზე და მისი დამთავრების შემდეგ, გადაიყვანეს ბეჩოს საშუალო სკოლაში რუსული ენა-ლიტერატურის მასწავლებლად, სადაც დღესაც წარმატებით მუშაობს. წლების განმავლობაში იყო პოპულარული პროპაგანდისტი, ნაფიცთა საბჭოს წევრი, როგორც ბეჩოში, ასევე, რაიონშიც.

დაუღალავი შრომით, კეთილშობილებით ხალხის ნდობა და სიყვარული მოიპოვა. იგი დაუფინანსებელ მაღალ კლასებს უსასყიდლოდაც ასწავლიდა.

ილამაზ ავალიანი დღესაც დიდი ენთუზიაზმით აგრძელებს სკოლაში ნაყოფიერ მუშაობას. ვთქვით და ვიმეორებთ: ამ პედაგოგების დიდი ძალისხმევის და მუშაობის შედეგია, რომ ბეჩოს სკოლაში ბევრი სასახელო მამულიშვილი აღიზარდა. ვუსურვებთ მათ სულის მხნეობას, წარმატებებს. კიდევ დიდხანს ეღვაწოთ ჩვენი კუთხის თუ ქვეყნის საკეთილდღეოდ, ბევრი ღირსეული მამულიშვილი აღეზარდოთ კიდევ და კიდევ.

ჩვენი ვალია მოვეფეროთ ასეთ პედაგოგებს და დავაფასოთ. ბეჩოში ჩატარებული ეს ღონისძიება ყველასთვის მისაბაძი და მისასალმებელია. დიდი მადლობა სკოლის დირექციას.

ნონა ფარჯიანი,
ბეჩოს საჯარო სკოლის პედაგოგი

სახელმძღვანელო, რომელიც დამხმარეზე მეტია

აი, დიდი კითხვის ნიშანი: რატომ ფიცულობს უცხო ქვეყნების მზეს ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობის დიდი უმეტესობა? მიზეზი მრავალია, ერთ-ერთი კი – საკუთარი ქვეყნის ისტორიის არცოდნაა. რატომ არ იციან? რატომ და საქართველოს ისტორიას სათანადოდ არც სკოლაში ასწავლის ვინმე და არც სტუდენტობისას (პარადოქსია – არც ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობენ წესიერად) და კომპიუტერის გადამკიდე ახალგაზრდა წიგნს წასაკითხად სათოფეზეც არ ეკარება.

პოლიტოლოგების, ექსპერტების, ფილოსოფოსების უდიდესი ნაწილი უნივერსიტეტებში, პრესაში, ტელევიზიაში სულ დემოკრატიაზე და დასავლურ ღირებულებებზე საუბარს არიან გადაყოლილნი.

ამ უმძიმეს ჟამს სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება პედაგოგისა და მწერლის **ტარიელ მუმლაძის** ახლახან გამოცემულ წიგნს **„ქართველთა მაოხარნი“**. მართალია, აქ ქვეყნის დამაქცევრებზეა მოთხრობილი ისე, როგორც **ლევან სანიკიძის** – **„სამას სირცხვილში“**, მაგრამ



მოღალატეთა გვერდით კონტრასტულად წამოიმართებიან მამულის მადიდებელი გმირები.

ეს კი უფრო დაინტერესებს მკითხველს და ისტორიის უფრო ღრმა ლაბირინთებში შეღწევის სურვილს გაუჩენს.

ასეთი ძვირფასი წიგნის გამოსაცემად ავტორთან თანადგომისათვის დიდი მადლობა რედაქტორს **ზურაბ მანდენაშვილს**, რეცენზენტ პროფესორ **კლიმენტი შელიას**, კორექტორ **რიმა როკეტლიშვილს**, კომპიუტერისტ **ვერონიკა არუთინიანს**.

თუ რა სასიცოცხლოდ აქტუალურია დღეს ილიას შეგონება წარსულის არდავიწყების შესახებ, ამაზე წიგნის წაკითხვის შემდეგ დაე, ყოველმა მკითხველმა იფიქროს.

ბორის მიშველაძე

ხალხში გავგონილი ხახრეტლები

•••

ახალგაზრდა კაცი იყო განათლების მინისტრი
განათლების მისაღებად გააგზავნეს ინგლისში.

•••

ეს კოლოფი – კომპიუტერი ნუთუ არის წიგნის მტერი?

•••

სხვას ვერაფერს ვერა ხედავს, მხოლოდ – დოლარებს
და ფულსა, ამერიკული ჭინჭები ურჩევნია მას მამულსა.

•••

მას დედის ძუძუ ტკბილი არაფრად შერგებია,
მასწავლებლის დაფასება ვისაც დაზარებია.

•••

პოეტები უმღერიან ჩვენს ენას და ჩვენს მამულსა,
ბურჭულაძეს ავი სიტყვა ურჩევნია სულსა გულსა.

•••

ეს თბილისი თბილისურად სულ მთლად გაგვიინგლისურდა.

შეკრიბა **მოსე მწერალმა**

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+, №10 (4531)
25 მაისი, 2016 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რ ე დ კ ო ლ ე გ ი ა
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 58 45 72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34-41-41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ.ფოსტა: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ.: (032)2 99 80 00
(032)2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009